

„ვამტკიცებ“
ხაშურის კომპლექსური
სასპორტო სკოლის დირექტორი:



/ი. ხარაზიშვილი/

„შეთანხმებულია“

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის
განათლების, კულტურის და სპორტის
სამსახურის უფროსი: /კ. ფრუიძე/

„შეთანხმებულია“
საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაციის პრეზიდენტი: /გ. ათაბეგაშვილი/



დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მონრეალის ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, ევროპისა და ყოფილი
საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული კლასის
ოსტატის რამაზ ხარშილაძის ხსოვნის III რესპუბლიკური ტურნირი
ჭიდაობა ძიუდოში.

1. მიზანი და ამოცანა

ჭიდაობა „ძიუდოს“ განვითარება პოპულარიზაცია, ახალგაზრდა სპორტსმენთა
ოსტატობის ამაღლება, ნაკრები გუნდის დაკომპლექტება რესპუბლიკურ
შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად.

2. შეჯიბრების ჩატარების ხელმძღვანელობა

შეჯიბრებას ხელმძღვანელობს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის
განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური, ხაშურის
სასპორტო სკოლა და ძიუდოს ფედერაციის მსაჯთა კოლეგია.

3. ჩატარების დრო და ადგილი

ტურნირი გაიმართება 2021 წლის 9-10-11 ივლისს ქ. ხაშურის ახალი სპორტული
კომპლექსის დარბაზში. მონაწილეთა აწონვა შედგება 9-10 ივლისს
16-დან 18 სთ-მდე. დასაწყისი 10-11 ივლისს 11 საათზე.

გზის, ღამისთევისა და კვების ხარჯებს გაიღებს მიმავლინებელი ორგანიზაცია.

4. შეჯიბრების მონაწილენი

შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობენ 2008-2009 და 2010-2011 წლებში
დაბადებული სპორტსმენები.

წონითი კატეგორიები: 10 ივლისი. 2008-2009წწ. 30-34-38-42-46-50-55-60-66 კგ და +66 კგ
დაშვება 0,5კგ.

11 ივლისი. 2010-2011წწ. 23-27-30-34-38-42-46-50 კგ და +50 კგ. დაშვება 0,5 კგ.

მონაწილე გუნდების საყურადღებოდ, განაცხადი გუნდების მონაწილეობაზე გთხოვთ გამოაგზავნოთ 6 ივლისამდე ხაშურის სასპორტო სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე

Khashuri.sporti@gmail.com

მონაწილეებმა აუცილებლად უნდა წარმოადგინონ პირადობის მოწმობა ან დაბადების მოწმობის დედანი, ან მოსწავილის ბილეთი სურათით სკოლის დირექტორის დამოწმებით.

შენიშვნა: რეგულაციები პანდემიასთან დაკავშირებით • ტურნირში მონაწილე ყველა პირი (ძიუდოისტები, მწვრთნელები) ვალდებულია წარმოადგინოს ბოლო 24 საათში გაკეთებული სწრაფი ანტიგენის ტესტის (კოვიდ -19-ის ტესტი) უარყოფითი პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ დაიშვებიან შეჯიბრებაზე. ძიუდოისტები ტესტის პასუხებს წარმოადგენენ აწონვაზე. • ტურნირის მიმდინარეობისას სპორტული დარბაზის მთელ ტერიტორიაზე ყველა პირი ვალდებულია ატაროს პირბადე. ძიუდოისტებს პირბადის მოხსნა შეუძლიათ ტატამზე შესვლის წინ.

შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით. ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 3 წუთი. დამატებითი დრო განისაზღვრება ოქროს ქულამდე, ოლიმპიური სისტემით.

თითოეულ სპორტსმენზე სასტარტო შენატანი 10 ლარი.

5. დაჯილდოება

ტურნირზე გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, მედლებით და თასებით.

პასუხისმგებელი შეჯიბრების ჩატარებაზე ომარ ლომიძე.
შეჯიბრების მთავარი მსაჯი ბეგლარ ხარშილაძე.

აღნიშნული დებულება ითვლება ტურნირზე ოფიციალურ მოწვევად.

საკონტაქტო ტელეფონები: 24-00-54 მობ: 558-50-27-37 555-38-52-24

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ხაშურში.

ხაშური 2021 წელი

